

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – მდგრადი  
განვითარების რეგიონული ასპექტები“

პროგრამა

და

თემისები



22-24 ივნისი, 2017

22-24 ივნისი, 2017

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**“სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – მდგრადი განვითარების  
რეგიონული ასპექტები”**

**სამეცნიერო რედაქტორები:**

თამარ დოლბაია, თეონა მატარაძე

**ტექნიკური ჯგუფი:** თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე,  
ნინო აბესაძე

22-24 June, 2017

The 5<sup>th</sup> International Scientific Conference

**“Space, Society, Politics - The Regional Aspects of Sustainable Development”**

**Editors:** Tamar Dolbaia, Teona Mataradze

**Technical Group:** Teona Tabuashvili, Miranda Mikadze, Nino Abesadze

## **პროგრამა**

### **22 ივნისი, ხუთშაბათი**

I კორპუსი, ოთახი №107

**09.30 - 10.00** კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

**10.00 კონფერენციის გახსნა:**

I კორპუსი, ოთახი №107

**გიორგი შარვაშიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**თამარ დოლაძი** – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**მიხეილ ჩხენგელი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

I კორპუსი, ოთახი №107

**I სესია (ინგლისურენოვანი)**

**თავმჯდომარეები: გალერიან მელიქიძე, არდა არიგანი**

**10.20 გალერიან მელიქიძე** - ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “პატარა ქვეყნები, როგორც გლობალური ხისტემური მითოლოგიის მძიებები”;

**10.40 თამარ დოლბაია** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო სისტემა, როგორც რეგიონული ძალადი განვითარების ფაქტორი”;

**11.00 ლალე იალჩინ-ჟეკმანი** – პროფესორი, მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია. “გარდებისა და გარდის ზეთის წარმოების ძალადი განვითარება და ფასები, ისპარტა, თურქეთი”;

**11.20 ხოსე ვარგას-ჟერნანდესი** – პროფესორი, გუადალახარას უნივერსიტეტი, მექსიკა. “ურბანული მწვანე სივრცეები, როგორც გაოხიცებების კომპონენტი”;

**11.40 ალი ჩეშმეუჯი** – ასოცირებული პროფესორი, ჩინეთის ნოტინგჰემ ნინბოს უნივერსიტეტი, ჩინეთი. “სბარტ ქალაქები” და ცვალებადი ურბანული სისტემები”;

**12.00 სიუზან ელისა ჰარის-ბრანდტსი** – დოქტორანტი, მასარენების ტექნოლოგიების ინსტიტუტი, აშშ. “ტურიზმის განვითარება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში: პოსტ-რევოლუციური ბათუმის მაგალითზე”;

**12.20 ტუბა ბირჯანი** - უფროსი მკვლევარი, ლუვენის უნივერსიტეტი, ბელგია; **თეონა მატარაძე** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციები და მიგრაციის გავლენა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ ძალადობაზე საქართველოში”;

**12.40 ალექსანდრე გუხიანიძე** – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოების მუქარა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: საქართველო და სომხეთი”;

## **13.00 – 14.00 შესვენება, დანჩი**

**14.00 პოსეინ ნაზმფარი** – ასოცირებული პროფესორი, მოჰადენ არდაბილის უნივერსიტეტი, ირანი. “სიკრცე, საზოგადოება, უთანასწორობა – შემთხვევის ანალიზი: არდაბილის პროფიცია, ირანი”;

**14.20 დავით მაცაბერიძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “პუტინის საინფორმაციო პოლიტიკა და ექობული პოლიტიკის გრადმეტაცია”;

**14.40 ფიქრია ასანიშვილი** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ირანის „რბილი ძალის“ გავლენა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაზე”;

**15.00 ტერანე ამირაგა შირვანოვა** – ასისტენტ-პროფესორი, აზერბაიჯანის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “რბილი უსაფრთხოების აღქმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში: სწრაფვა ნატოში ჩართულობისკენ თუ მისი იგნორირება?”

**15.20 არდა არიკანი** - პროფესორი, აკდენიზის უნივერსიტეტი, თურქეთი. “სირიელი ლტოლვილების ასახვა თურქელ კარიკატურებში”;

**15.40 მარიამ გერსამია,** პროფესორი; **მაია ტორაძე,** ასოცი-რებული პროფესორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ახალგაზრდა უკრნალისტების დასაქმება მედიის შრომის ბაზარზე”;

**16.00 რ. ჯვევერსონ ჯორჯ** – უფროსი ლექტორი, ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტი, აშშ. “ონლაინ სამაგისტრო პროგრამის განვითარება საგანმანათლებლო დიდებობაში”;

16.20 **სამირა კარაევა** – მკვლევარი, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანი. “გენდერული ხაკითხების პრობლემები აზერბაიჯანში”.

## 23 ივნისი, პარასკევი

### **II სესია (ქართულენოვანი)**

I კორპუსი, ოთახი №101

თავმჯდომარეები: რევაზ ჯორბენაძე, ზეიად აბაშიძე

10.00 **გიორგი გვინიგაძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების გეოგრაფიული პრობლემები პროფესორ ალექსანდრე რონდელის შრომებში”;

10.20 **მალხაზ მაცაბერიძე** – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია”;

10.40 **გალერიან დოლიძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “დემოკრატიის მესამე ტალღა და პოსტკომუნიკაციური დემოკრატიზაცია: საქართველოს შემთხვევა”;

11.00 **ზეიად აბაშიძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

“ხელისუფლების დანაწილება და მმართველობის ფორმები აღმოსავლეთ-ცენტრალურ კვრთპასა და საქართველოში”;

11.20 ირინა ბიჭიგაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “კულტურის გამოყენება პოლიტიკაში. ისტორიული ანალიზიები”;

11.40 რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი, მარებ დევიძე, დოქტორანტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “სოციალური აქსიომის სტრუქტურა და პიროვნების ქვება”;

#### 11.40 – 13.00 შესვენება, დანჩი

13.00 ნათელა დონაძე - ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ოჯახი, როგორც ღირებულება: საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების შედარებითი ანალიზი”;

13.20 მარინა ბურძენიძე, ასოცირებული პროფესორი, მარინე ქევხიშვილი, დოქტორანტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “სოციალური მედიის პრაქტიკა და ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები”;

13.40 ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. “ციფრული თაობის” დამკვიდრებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში”;

14.00 ნანა მაჭარაძე – დოქტორანტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA). “ციფრული მაუწყებლობის პრაქტიკის დანერგვა საქართველოში: მისი გავლენა ხაზელების ინფორმაციული რესურსის განვითარებაზე”;

14.20 თენგიზ გერულავა - პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. “უნივერსალური ჯანდაცვა საქართველოში: მოდელები და გამოწვევები”

## 24 ივნისი, შაბათი

09:00 - ექსკურსია უცხოელი სტუმრებისთვის:

უფლისციხე – მცხეთა

012%01სები



## **თამარ დოლბაია**

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სამხრეთ კაგებასიის სატრანსპორტო სისტემა, როგორც განვითარების რეგიონული ფაქტორი**

საბჭოთა კაგშირის დაშლის შემდგომ, ერთ გეოგრაფიულ სივრცეში მყოფი, მსგავსი ისტორიული და ეკონომიკური წარსულის მქონე სამი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში განიხილება, როგორც სამხრეთ კაგებასიის რეგიონი. თუმცა, რეგიონული კაგშირები ერთობ მყიფეა პოლიტიკური არამდგრადობის, ტერიტორიული პრეტენზიების, რეგიონული კონფლიქტებისა და განსხვავებული საგარეო პარტნიორული ინტერესების გამო.

გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში, სამხრეთ კაგებასიის რეგიონის მნიშვნელობისა და საჭიროების დამკვიდრება ხდება რეგიონის ხელსაყრელი სატრანსპორტო – გეოგრაფიული მდებარეობის მეშვეობით სატრანზიტო ფუნქციის განვითარების გზით, როგორც ეპროპა - აზიის შესაყარზე სატრანზიტო ტვირთნაკადების შემკრები, გამტარი და რაც მთავარია, რუსეთზე გამავალი სატრანზიტო ნაკადების დივერსიფიკაციის საშუალება.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სამხრეთ კაგებასიის რეგიონის სატრანსპორტო სისტემა: ტრანსპორტის ყველა სახეობა, ტვირთის ექსპორტ-იმპორტული და სატრანზიტო ნაკადები, მგზავრთბრუნვა, ტრანსპორტის სახეობების დაქსელვის დონე და ხარისხი, რეგიონზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები და მიღსადენები.

მოცემულია	რეგომენდაციები	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთიანი რეგიონული სისტემის შექმნის, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების, რეგიონული საბაჟო პროცედურების სრულყოფის, ერთიანი სატარიფო სისტემის, “კარიდან-კარამდე გადაზიდვის” სისტემის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული სატრანსპორტო სისტემის ეფექტიანობის
-----------	----------------	--

გაუმჯობესებას, საერთაშორისო მულტიმოდალურ სატრანსპორტო დერეფნებში ჩართვასა და ტვირთნაკადების მოზიდვას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება, მულტიმოდალურ სატრანსპორტო დერეფნებში ჩართვა, თავის მხრივ, რეგიონული თანამშრომლობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გარანტიას წარმოადგენს.

## **ლაპლე იაღმინჯგმანი**

პროფესორი, მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის  
ინსტიტუტი, გერმანია

## **გარდებისა და გარდის ზეთის წარმოების მდგრადი განვითარება და ფასები, ისპარტა, თურქეთი**

მოხსენება განიხილავს ვარდისა და ვარდის ზეთის წარმოების და ფასწარმოქმნის შესახებ დისკურსებს ისპარტას პროვინციაში. ფერმერები ვარდის კულტივაციას საუგუნეზე მეტია მისდევენ, ხოლო ვარდის ზეთის წარმოება მიჩნეულია ტრადიციულ ინდუსტრიად. ვარდის ზეთის საბაზრო მომხმარებელი გლობალური მასშტაბის კოსმეტიკური ფირმებია და ისპარტაში წარმოებული ვარდის ზეთის ძირითადი ნაწილი საექსპორტოა. 2000 წლიდან ვარდისა და ვარდის ზეთის ფასები და წარმოება სტაბილურად იზრდება. არის ვარდის ჭარბწარმოების საფრთხე, მაღალი კონკურენცია ვარდის ზეთის შემსყიდვები ფირმებს შორის, რაც ხელოვნურად ზრდის ფასებს და რამაც შეიძლება, მსოფლიო ბაზარზე ვარდის ზეთის ბიზნესის ჩავარდნა გამოიწვიოს. გადახდისა და ფასწარმოქმნის პროცედურებზე დეტალური დაკვირვებით, მოხსენებაში განვიხილავ ფასწარმოქმნის “მორალურ” ეკონომიკას. მართალია, აღნიშნული კვლევა მიმდინარეობის პროცესშია და წარმოვადგენ წინასწარ შედეგებს, მაგრამ ფასების შესახებ არსებული დისკურსის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ეს არის არა მხოლოდ ბაზრის საწინააღმდეგო მსჯელობები, არამედ საბაზრო ეკონომიკის დირებულებებითი შეფასება.

## **ხოსე გარგას-პერნანდესი**

პროფესორი, გუადალაჰარას უნივერსიტეტი, მექსიკა

### **მწვანე ურბანული სივრცეები, როგორც ეკოსისტემის კომპონენტი**

ნაშრომის მიზანია ეკოსისტემის პერსპექტივიდან გააანალიზოს არსებული ლიტერატურა ურბანული მწვანე სივრცეების იმ მახასიათებლების შესახებ, როგორიცაა მისი კომპონენტები, სერვისები, ერთობების ჩართულობა, ინიციატივები და ქმედებები. ანალიზი იწყება იმ ვარაუდით, რომ ურბანული მწვანე სივრცეები არინ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოსისტემები ურბანულ გარემოში ცხოვრების ხარისხის ზრდისთვის და ეკოსისტემის ისეთი სერვისებისთვის, როგორიცაა ბიომრავალფეროვნება, კლიმატის რეგულაცია. ამდენად, ურბანული მწვანე სივრცეები ნებისმიერი ერთობის ეკოსისტემის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მომხმარებლების მოთხოვნათა დაქმაყოფილება დაკავშირებულია იმ ფუნქციებთან და სერვისებთან, რასაც ურბანული მწვანე სივრცეები აწვდიან ერთობას. ერთობის წევრთა ჩართულობა და განვითარება მოითხოვს მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღგილობრივი მომხმარებლების მოთხოვნებისა და მისწრაფებების დაქმაყოფილება. ამ ანალიზში გამოყენებული მეთოდებია დოკუმენტებისა და ემპირიული მონაცემების ანალიზი მოხმარებასა და მომხმარებლებზე, ინტერვიუები ქსპერტთან და შემთხვევის შესწავლა. ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და ერთობებისათვის შეთავაზებულია რამდენიმე დამატებითი რეკომენდაცია, გარემოს, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ზოგადი ინიციატივების შესახებ, რაც დაქმარება დაინტერესებულ და ჩართულ მხარეებს ინიციატივების განხორციელებაში.

დაბოლოს, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ურბანული მწვანე სივრცეების შესაძლებლობებზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე.

## **ალი ჩეშმეუანგი**

ასოცირებული პროფესორი,

ხინქთის ნოტინგჰემ ნინბოს უნივერსიტეტი, ხინქთი

### **„სმარტ ქალაქები“ და ცვალებადი ურბანული სისტემები**

კვლევა შეეხება „სმარტ ქალაქებს“, როგორც ჩვენი ეპოქის ქალაქების ბრენდირების პროცესის მთავარ ტრანსფორმირებად ტენდენციას. იმ პირობებში, როდესაც „სმარტ ქალაქები“ დიდად არიან დამოკიდებული საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და მონაცემთა დიდ ბაზებზე, ინფორმაცია, ძირითადად, გამოიყენება ქალაქის ოპერირებისა და მართვის ოპტიმიზაციისათვის. საქალაქო დონეზე ამ პროცესმა გაამარტივა არსებული რთული ოპერაციები, მაგრამ ეს დიდ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ურბანიზმის ზოგიერთ მოწინავე თეორიასთან. ნაშრომში განხილულია ურბანიზმის ოპორიებსა და „სმარტ ქალაქებთან“ დაკავშირებული ეს წინააღმდეგობები.

„სმარტ ქალაქების“ გაჩენამ ნაწილობრივ შეამცირა ურბანიზმის როლი ქალაქების განვითარებაში. ახალი ურბანული გადაწყვეტილებები და ინტერვენციები ახლა უკვე დამოკიდებულია გამოთვლით სიმულაციებზე, დიდ მონაცემთა ბაზებსა და ოპტიმიზაციის პროცესებზე. ურბანულ დაგეგმარებასა და სივრცის გამოყენების დიზაინში თანამედროვეობა კარნახობს თუ როგორ შეიძლება განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ ქალაქები და საბოლოოდ ადაპტირდნენ ახალ მოდელებთან.

ერთი მხრივ, ზოგიერთი „სმარტ ქალაქის“ ინიციატივა მდგრადი ქალაქებისა და უბნებისათვის განვითარების ინოვაციურ გადაწყვეტილებად გვევლინება, თუმცა მხორე მხრივ, ის ზოგჯერ ეწინააღმდეგება ურბანიზმის კონცეფციებსა და ოპორიებს.

ეს ნაშრომი განხილავს ამ დაპირისპირებას არა ცვლილების გაზომვის კუთხით, არამედ ქალაქებისა და ურბანიზმისთვის პოტენციური საფრთხეების შეფასების მხრივ. კვლევა გამოავლენს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: ფიზიკურ სივრცეს, კირტუალურ სივრცეს და ხელმისაწვდომობას, პირველ რიგში „სმარტ

ქალაქის“ იდეის ჭრილში და შემდეგ - ურბანიზმის. ამ სამი ელემენტის ანალიზი გამოყენებული იქნება იმის განსასაზღვრად, თუ რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მათ ურბანიზმის თეორიებზე, თუ მხოლოდ „სმარტ ქალაქის“ იდეის მხრიდან იქნებიან განხილულნი.

## **სიუზან ელისა პარის-ბრანდტი**

დოქტორანტი, მასაჩუსეტსის

ტექნოლოგიების ინსტიტუტი, აშშ

### **ტურიზმის განვითარება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში: პოსტ-რევოლუციური ბათუმის მაგალითი**

სტატია კრიტიკულად განიხილავს იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომელიც პოსტ-რევოლუციური სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე თან ახლავს ტურიზმის განვითარებას. საქართველოში, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბათუმში დრამატული ნეოლიტერალური რეფორმები და სწრაფი რეანისტრუქცია განხორციელდა. უკანასკნელ დეკადაში ბათუმი შავიზდვისპირეთის ტურისტულ ცენტრად და ქვეყნის წარმატებულ, პოსტ-რევოლუციური ტრანსფორმაციის სიმბოლოდ იქცა. სტატია განიხილავს, როგორ იქცა ნაციონალიზმის ხელშეწყობის არქიტექტურულ სიმბოლოდ მთავრობის მიერ განხორცილებული ახალი ტურისტული პროექტები. მოხსენებაში ასევე წარმოვადგენ თუ როგორ იწვევს ტურიზმი ნაციონალიზმის სიმბოლოებს შორის კომუნიკაციაში დაბნეულობას და აფერხებს მათ გავრცელებას.

სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ტურიზმი შეიძლება იქცეს ეკონომიკური ექსპანსიის ეფექტიან საშუალებად, განსხვავებით გამოწვევებისგან, რაც თან ახლავს ნელა განვითარებად მოპოვებით მრეწველობას ან მაღალ-პროფესიულ მწარმოებელ სექტორს. თუმცა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ დიდი ქალაქები გადაიქცვიან მთავარ ტურისტულ ცენტრებად. გარდა ეკონომიკური წინააღმდეგობებისა, ტურიზმს შეუძლია გამოიწვიოს ქალაქის თავისებურებების შეცვლა და მოქალაქეების მთავარი სივრცეებისაგან გაუცხოება. შევისწავლი რა ბათუმის შემთხვევას, მოხსენებაში წარმოვადგენ ტურისტული ქალაქის ურბანული რეანისტრუქციის გავლენას მის სოციალურ და პოლიტიკურ ასექტებზე, პოსტ-რევოლუციური ერის მშენებლობის ფართო გამოწვევებზე. მოხსენების ფარგლებში განვიხილავ საკითხს თუ

როგორი გავლენა შეიძლება პქონდეს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში გარე ტურისტული სექტორის განვითარებას სამოქალაქო თვითშეგნებისა და ნაციონალიზმის იდეების ხელშეწყობაზე. ტურიზმის განვითარებასა და ნაციონალიზმის მიმართებების გარდა, მოხსენებაში მიმოვინილავ ტურისტული ეკონომიკის გაუთვალისწინებელ გავლენებს ფორმირებადი ერების სიმბოლურ არქიტექტურასა და ურბანულ ფორმებს.

მოხსენებაში საუბარია იმ გავლენაზე, რომელიც სახელმწიფო მშენებლობისას ინიციატივების პარალელურად შესაძლოა პქონდეს ტურიზმის სექტორის განვითარებას სამოქალაქო ინტეგრაციისა და ნაციონალიზმის ხელშეწყობაზე. ტურიზმის განვითარებასა და ნაციონალიზმს შორის კომპლექსური ურთიერთობის გარდა, კარგად ჩანს ტურიზმის ეკონომიკის ზოგიერთი გაუთვალისწინებელი გავლენა ახლად განვითარებად ერებზე სიმბოლური არქიტექტურისა და ურბანული ფორმის მეშვეობით.

მოხსენებაში ბათუმი წარმოდგენილია, როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების ურბანული ტრასფორმაციის მაგალითი, რომელშიც მიმდინარეობს ტურიზმის განვითარება. ანალიზი ეფუძნება 2016-2017 წლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს, დაკვირვებასა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს.

## **ტუბა ბირჯანი**

უფროსი მკვლევარი, ლუვენის უნივერსიტეტი, ბელგია

### **თეონა მატარაძე**

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციები და მიგრაციის გავლენა  
ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრმარეობაზე საქართველოში**

მოხსენების მიზანია განიხილოს საქართველოდან მიგრაციის ზოგადი ტენდენციები და შეადაროს საქართველოში მცხოვრებ მიგრანტთა ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგრმარეობა ოჯახებს, რომლებსაც არ ჰყავთ მიგრანტი. მოხსენება ეფუძნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში 2015 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარებულ ეროვნული რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებს. შერჩევის ზომა არის 1000 რესპონდენტი, გამოკითხვის ფორმა – პირისპირი ინტერვიუ.

პრეზენტაციის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ მიგრანტთა დემოგრაფიულ მახსისათებლებს, მიგრაციის მიმართულებას, მიგრანტთა სამოქალაქო და დასაქმების სტატუსს მიმღებ საზოგადოებაში, მიგრანტთა დახმარების ფორმებსა და ფულადი გზაგნილების ოდენობას. კვლევის მთავარი ჰიპოთეზა შემდეგია - მიგრანტის ყოლა გავლენას ახდენს გამგზავნი ოჯახის წევრების დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების მიმართ. ჰიპოთეზის შესამოწმებლად გზომავთ სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიწოდებული მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების დონეს და სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციისა და ადამიანების მიმართ რესპონდენტთა ნდობას. ზოგადად, კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში მცხოვრებ ოჯახთა 14.3%-ს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰყავთ ერთი მიგრანტი მაინც. მიგრანტთა წილი მაღალია იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში. მიგრანტთა 44.4% მამაკაცია, ხოლო 55.6% – ქალი. მიგრანტთა უმრავლესობა საშუალო

ასაკისაა (31-62 წლები). მიგრანტთა 46.8%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 39.1%-ს პროფესიული განათლება. ქალ მიგრანტებს განათლების უფრო მაღალი დონე აქვთ მამაკაცი მიგრანტების განათლების დონესთან შედარებით, ზოგადად კი, მიგრანტების განათლების დონე უფრო მაღალია ადგილობრივი მოსახელობის განათლების დონესთან შედარებით, რაც მიუთითებს „ტვინების გადინების“ ტენდენციის არსებობაზე. მიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი მიგრირებულია რუსეთში, მიგრაციის მაღალი დონე ფიქსირდება საბერძნეთის, იტალიის, თურქეთის მიმათულებებით, სადაც ძირითადად, ქალი მიგრანტები მიმდებ თჯახებში შინამეურნეობასთან დაკავშირებულ ზრუნვის ფუქნციას ასრულებენ. მიგრანტთა მხოლოდ 64.5%-ს აქვს საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო მათ 31.1%-ს რეგისტრაცია - საქართველოში, რაც მიგვანიშნებს, რომ მიგრანტთა ეს ნაწილი მოკლებულია მიმდებ საზოგადოებაში სამოქალაქო უფლებებს. მიგრანტთა ნახევარი თჯახებს ეხმარება ფულადი გზავნილებით, ხოლო დაახლოებით მესამედი გამგზავნ თჯახებს არანაირ ფინანსურ დახმარებას არ უწევს.

## **ალექსანდრე ჯუხიანიძე**

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოების მუქარა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: საქართველო და სომხეთი**

**ბირთვული და რადიოლოგიური მასალების კონტრაბანდა  
საქართველოს გავლით**

ბირთვული და რადიოლოგიური მასალების შავი ბაზარი დღეს ფარავს დიდ ტერიტორიას ატლანტის ოკეანედან, წყნარ ოკეანემდე 1990-იანი წლების ბოლოდან ექსპერტები მიუთითებენ ამ მასალებით კონტრაბანდის მიმართულების შეცვლაზე ევროპიდან კავკასიისა და ცენტრალური აზიისაკენ. ეს ტენდენცია აღმაშფოთებელია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიაში ცხელი წერტილების სიახლოვის გამო. ამიტომ, ბირთვული და რადიოლოგიური მასალების კონტრაბანდა კავკასიის რეგიონის გავლით, სპეცსამსახურების, მესაზღვრეებისა და მებაჟების ყურადღების განსაკუთრებული საგანია.

1997 წლიდან საქართველო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან (IAEA) უკონტროლოდ მიტოვებული რადიაციული მასალების ძებნისა და ნეიტრალიზაციის პროცესებზე, პერსონალის ტრენინგებისა და სასაზღვრო და საბაჟო გამშვები პუნქტების მოწყობილობით აღჭურვაზე. საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებულია ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუგრცელებლობის თაობაზე და 1998 წელს მიღებულია კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.

კანონის მიხედვით, რადიაციული ნარჩენების ტრანსპორტირება საქართველოს გავლით აკრძალულია. უკანონო გადატანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე რადიაციული მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, ისჯება თავისუფლების

აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. მსგავსი ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, ბირთვული და რადიოლოგიური მასალების კონტრაბანდა საქართველოს გავლით გადაიქცა სერიოზულ პრობლემად და ამას ხელს უწყობენ შემდეგი ფაქტორები:

1. უკონტროლოდ მიტოვებული რადიაციული მასალების არსებობა;
2. რეგისტრირებული რადიაციული მასალების სუსტი დაცვა;
3. სახელმწიფო საზღვრის დაცვის ხარისხი;
4. მოსახლეობის “რადიაციული განათლების” დაბალი დონე;
5. სიღარიბის დონე ქვეყანაში;
6. უკონტროლო სეპარატისტული რეგიონები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში აღმოჩენილია 300-მდე უკონტროლოდ მიტოვებული რადიაციული წყარო. უმეტეს წილად ეს მასალები მიტოვებულია იმ საბჭოთა და რუსეთის ჯარების მიერ, რომლებმაც თავის დროს დატოვეს საქართველოს ტერიტორია, ან საქართველოს ყოფილი საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ინდუსტრიული მშენებლობის ადგილას. აგრეთვე, სხვადასხვა კვლევით და სამედიცინო ორგანიზაციებში არსებობს დაახლოებით 1500 რეგისტრირებული წყარო, რომელიც ცუდი დაცვის ან შენახვის პირობებში შეიძლება მოიპარონ ან საშიში გახდეს ადამიანებისათვის. ცნობილია ბირთვული და რადიოლოგიური მასალების კონტრაბანდის რამდენიმე ყველაზე საშიში შემთხვევა, რომელიც გადის საქართველოს ტერიტორიით და წარმოადგენს სერიოზულ გლობალურ საფრთხეს. ამ კონტრაბანდის გზების უმრავლესობა გადის რუსეთიდან საქართველოს გავლით თურქეთში ან სომხეთში. ყველაზე ხშირად, კონტრაბანდისტების დაკავება ხდებოდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე და არა რადიაციული დეტექტორების მეშვეობით, როგორც წესი, ბათუმში ან თბილისში.

**მეწამორის ატომური სადგური როგორც რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების მუქარა**

ბუნებრივი კატასტროფისა და ტერორიზმის კუთხით, არანაკლებად საშიშ პრობლემას წარმოადგენს სომხეთში განლაგებული მეწამორის ატომური ელექტროსადგური. მეწამორის რადიაციული საფრთხის საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია რამდენიმე სხვა პრობლემასთან: სომხეთის კონფლიქტზე აზერბაიჯანთან, ურთიერთობაზე თურქეთთან და ახალი ატომური სადგურის მშენებლობის დაფინანსებასთან.

ამრიგად, მოძველებული მეწამორის ატომური სადგურის და ბირთვული და რადიოლოგიური მასალების კონტრაბანდა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას რეგიონული და გლობალური უსაფრთხოებისათვის. ამ პრობლემის გადაჭრას აბრკოლებს აზერბაიჯანის მიერ სომხეთის ეკონომიკური ბლოკადა, სომხეთის ეკონომიკური სიტუაციები და ადგილობრივ დონეზე ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების სიმწირე.

## **პოსეინ ნაზმუარი**

ასოცირებული პროფესორი,  
მოპადელ არდაბილის უნივერსიტეტი, ირანი

### **სიგრცე, საზოგადოება, უთანასწორობა – შემთხვევის ანალიზი: არდაბილის პროვინცია, ირანი**

საწყის ეტაპზე სოციალური სამართლიანობის განხილვა სიგრცეული და გარემოსთან დაკავშირებული სამართლის ფარგლებში ხდებოდა. სიგრცეული სამართლიანობა, როგორც გეოგრაფიაზე დაფუძნებული პროგრამის ერთ-ერთი საკანონო საკითხი, მიზნად ისახავს გეოგრაფიული არეალის მაცხოვრებელთა საჭიროებების დაგმაყოფილებას. განვითარების ინდიკატორების მიხედვით, შეინიშნება არდაბილის პროვინციის გარე სიგრცეული ზონების არათანაბარი სიგრცეული განვითარება. წარმოდგენილი მოხსენების ფარგლებში ვიკავლევთ და ვაფასებო ქალაქ არდაბილის განვითარების სიგრცეულ სამართლიანობას. კვლევითი მიდგომა ეფუძნება გამოყენებით დესკრიპტულ და ანალიტიკურ მეთოდს. სტატისტიკური წელიწლეული #1390-ის მიხედვით არდაბილის პროვინციაში დასახლებულია 10 ქალაქი. სიგრცეული სამართლიანობის განვითარების დონის შესაფასებლად გამოვიყენეთ 40 ურბანული ინდიკატორი. მათი მნიშვნელობის დასადგენად, თითოეული ინდიკატორი გაანალიზდა შარონის ანთროპიის მეთოდით, ხოლო ქალაქების რანჟირებისათვის გამოყენებულ იქნა ორი – ტოპსისა და ვიკორის მოდელები. რადგანაც ამ ორი მოდელის გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემები ზოგჯერ არათავსებადი იყო, კონსენსუსის მისაღწევად გამოვიყენეთ ინტეგრაციის მეთოდი (საშუალო რანგი, ზღვრული მაჩვენებელი, კოუპლენდი). პრეზენტაციაში წარმოგიდგენთ არდაბილის პროვინციის ქალაქების რანჟირებას.

## **დაგით მაცაბერიძე**

ასისტენტი პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **პუტინის საინფორმაციო პოლიტიკა და ევროპული პოლიტიკის ფრაგმენტაცია**

ნაშრომში წარმოჩენილია პუტინის საინფორმაციო პოლიტიკასა და ევროპულ რადიკალურ მემარჯვენე პარტიების პოზიციებს შორის არსებული თანხვედრები და კავშირები თანამედროვე ევროპაში. მივიწნევთ, რომ ევროპის რადიკალური მემარჯვენე პარტიების პოპულარობის ზრდა განპირობებულია არა საგარეო ფაქტორებით (რუსული ფინანსური მხარდაჭერა), არამედ ევროპული ინტეგრაციის შიდა ლოგიკით, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდა ნაციონალური დონის პოლიტიკასთან. რუსეთის ფედერაციამ, საინფორმაციო პოლიტიკის მეშვეობით, მოახერხა არაოფიციალური „მეუთე კოლონის“ შექმნა ევროკავშირში, რომელიც გამოიყენება ევროპაში რუსული ინტერესების არაპირდაპირ ლობირებასა და რადიკალურ მემარჯვენე პარტიებზე მისი გავლენის გავრცელებისათვის. ამგვარად, რუსეთის ფედერაციას არაპირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ელექტორატზე. ნაშრომში ევროპაში რადიკალური მემარჯვენე პარტიების პოპულარობის ზრდა გაანალიზებულია მათ მიერ დღეს არსებული ეკონომიკური და მიგრანტთა კრიზისის პოლიტიკურ კაპიტალად გადაქცევის კონტექსტში. ნაციონალურ პოლიტიკაზე კონცენტრირება, რომელიც ხანდახან ძირს უთხრის ერთიანი ევროპული პოზიციის ჩამოყალიბებას სხვადასხვა საკითხზე, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაძლიერდება ახალი რისკების წარმოშობისა და სულ უფრო მზარდი „ხალხის ხმის“ (*Vox Populi*) გამო, მეორე მხრივ კი დაასუსტებს რუსეთის აგრესის შეკავების პოლიტიკას პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და, ამგვარად, გამართლდება პუტინის/კრემლის მიზნები და მოლოდინი.

## **ფიქტია ასანიშვილი**

ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

**ირანის „რბილი ძალის“ გავლენა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაზე**

სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირანის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში. ირანის ცდილობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაბალანსოს ის აღქმული თუ რეალურად არსებული საფრთხეები, რომლებიც მომდინარეობს რეგიონული და ტრანსრეგიონული სახელმწიფოების მხრიდან (თურქეთი, რუსეთის ფედერაცია და აშშ). იმისთვის, რომ ირანმა ამ მიზანს მიაღწიოს, იგი ცდილობს განიმტკიცოს თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში.

ერაქსა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტების გამო, ირანს გართულებული აქვს ენერგორესურსების ტრანსპორტირება ეგროპაში ხმელთაშუა ზღვის გავლით. თეირანი ცდილობს ეს დანაკლისი შავი ზღვით ჩაანაცვლოს საქართველოს გავლით. ამიტომ სამხრეთ კავკასია არა მარტო პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია ირანისთვის, არამედ ფანჯარაც, რომელსაც შეუძლია ირანი ეგროპას დაუკავშიროს. აქედან გამომდინარე, თეირანის გავლენის მოძლიერება რეგიონში და სხვა სახელწიფოების გავლენის დაბალანსება თეირანის მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა, რომლის მიღწევას იგი ძირითადად, „რბილი ძალის“ გამოყენებით ცდილობს.

ამ სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ირანის „რბილი ძალის“ ბუნება, სტრატეგიები და მიმართულებები სამხრეთ კავკასიაში და მათი გავლენა რეგიონის გეოპოლიტიკაზე.

## **ტერანჯ ამირაგა შირგანოვა**

ასისტენტ პროფესორი

აზერბაიჯანის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„რბილი უსაფრთხოების“ აღქმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში:  
სწრაფვა ნატოში ჩართულობისკენ თუ მისი იგნორირება?**

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციებში "რბილი" ან არატრადიციული საფრთხეების აღიარება ბოლო ათწლეულში სულ უფრო მეტად იყიდებს ფეხს. ეს ხდება ნატოს სტრატეგიული დოქტრინის თანადათანობითი ეფოლუციის პარალელურად - მისი კლასიკური მიზნიდან - შენარჩუნდეს კონტინენტურ ევროპაში რუსეთან ეფექტური კონტრბალანსი ტრანსნაციონალური უსაფრთხოების თანამეგობრობის ხედვამდე - დაიცვას წევრი სახელმწიფოები როგორც სამხედრო, ისე არა-სამხედრო გამოწვევებისგან, რომელიც მთლიანად საზოგადოებაზე ახდენენ გავლენას. ეს სტატია განიხილავს ურთიერთმიმართებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „რბილი უსაფრთხოების“ აღქმასა და დამოუკიდებლობის მიღწვის შემდეგ მათ ნატოსთან ურთიერთობას შორის. შედარებითი ანალიზის საშუალებით ვადარებოთ ბალტიის ქვეყნების, აღმოსავლეთ ევროპის/სლავური რესპუბლიკების, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ორმხრივ ურთიერთობებს ნატოსთან და დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დღემდე რბილი საფრთხეების აღქმას ამ ქვეყნების ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში. ნატოს პოლიტიკის დინამიკა და „რბილი უსაფრთხების“ იდენტიფიკაცია განსაზღვრავს, თუ რა თანხმედრაშია ისინი ნატოს „რბილი უსაფრთხოების“ ინიციატივებთან, უსაფრთხოების დახმარების პოლიტიკის არაპირდაპირ გავლენასთან ეროვნული თუ ევრაზიის უსაფრთხოების დამოუკიდებელ მისწრაფებებთან, ევროპასა და რუსეთს შორის განახლებული დაპირისპირების აღტერნატივასთან, როგორც ამას ნატოს შემდგომი გაფართოების მომხრეები ამტკიცებენ.

## **არდა არიგანი**

პროფესორი,  
აკდენიზის უნივერსიტეტი, თურქეთი

### **სირიელი დევნილების ასახვა თურქულ კარიკატურებში**

ჩატარებული კვლევების მიხედვით კარიკატურები საკუთარი და სხვისი იდენტობის კონსტრუირების საშუალებაა. დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ მაშინ, როცა მთელი ისტორიის განმავლობაში კარიკატურები ასოცირდებოდნენ პროპაგანდისტულ მიზნებთან, ისინი მაინც გვევლინებოდნენ ხელოვნების იმ ფორმად, რომელიც მოიცავდა ტექსტსაც და გრაფიკასაც, რათა მკითხველს აზრი ჩამოყალიბებოდა როგორც სიტყვების, ისე - კარიკატურების მეშვეობით, მირითადად, იუმორისტული გზით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები კარიკატურის არსეს აღიქვამენ უშუალოდ იმ კულტურული, სოციალური, პოლიტიკური თუ სიტუაციური კონტექსტის მნიშვნელობებით იმ მომენტში, როდესაც მათზე ეს მასალა ზემოქმედებს, აშკარაა, რომ კარიკატურის შინაარსი ატარებს გზავნილებს და მოსაზრებებს, რომლებიც ადვილად განსასაზღვრია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი განიხილება კონტექსტის მინიშნებებთან მიმართებით, რომელიც განუყოფელია ამ ვიზუალური და ტექსტუალური მასალებისგან. როგორც კვლევა აჩვენებს, ხშირ შემთხვევაში, კარიკატურები გამოყენებულია იდეებისა და ინფორმაციის დაკონურად გადმოსაცემად იმ ვრცელი ვერბალური საკითხავი მასალისგან განსხვავებით, რომელიც უამრავ დროს აკარგვინებს როგორც მწერალს, ისე მკითხველს. კარიკატურები აღიქმება, როგორც ტექსტები, რომელთაც შეუძლიათ ხალხის აზრის ფორმირება, შესაბამისად, აქვთ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა და დირექტულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკური ატმოსფერო დაძაბულია, მაღალია ცენზურა და დაბალია წიგნიერების დონე. რადგან დაგადასტურეთ, რომ კარიკატურას შეუძლია ხალხის აზრის ფორმირება, ამ სტატიის

მიზანია, გავიგოთ, როგორ ხდება სირიელ დატოლვილებზე შექმნილი კარიკატურების საშუალებით, მათ მიმართ თურქი მოსახლეობის აზრის ფორმირება. სირიელი დატოლვილების შესახებ სურათების დეტალური ინტერნეტ-ძიების შედეგად შეგროვდა 37 კარიკატურა; ეს კოლექცია გაანალიზდა კონტენტ-ანალიზის გამოყენებით. გაანალიზებისას, საწყის ეტაპზე ყველა სურათს მიენიჭა რიცხვითი კოდი. შედგა სია, რომელშიც თითოეული კოდის ქვეშ დაიწერა შესაბამისი პერსონაჟისა და ტექსტური ელემენტის ნარატიული აღწერა. ამის შემდეგ კარიკატურები გაერთიანდა შესაბამისი კატეგორიების ქვეშ მირითადი თემების მიხედვით. ამ ანალიტიკური პროცედურის შედეგები გადამოწმდა მკვლევრის მიერ, რომელიც იყენებდა კონტენტ-ანალიზს თავის კვლევაში, როცა ასწავლიდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე კურსებს, რომლებიც მოიცავდა თეორიულ ასენასა და ამ ტექნიკის გამოყენების საფეხურებს. ანალიზი დასრულდა მაშინ, როდესაც თანხვედრაში მოვიდა კარიკატურის თავისთვადი და მკითხველის თვალით დანახული მნიშვნელობები. კვლევის მიხედვით სირიელი დატოლვილები კარიკატურებში ასახული არიან, როგორც ბიზნესში ექსპლუატირებული პირები, რომელიც განიხილებიან სამომავლო ელექტორატად, ადამიანებად, რომელთაგან შეიძლება პოლიტიკური სარგებლის მიღება. კარიკატურებში ასევე ჩანს პუმანური პოზიციებიც, რომლებიც მიმართულია იმ სირიელი ბავშვებისა და ქალების ინტერესების დაცვისკენ, რომელთა უფლებები შელახულია და დაუკმაყოფილებელი აქვთ ეგზისტენციური საჭიროებები.

**მარიამ გერსამია,**  
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მარა ტორაძე**  
ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ახალგაზრდა უურნალისტების დასაქმება მედიის შრომის ბაზარზე

კვლევის მიზანია, დადგინდეს, რა მოთხოვნები აქვთ და რა კრიტერიუმებს (ცოდნას, უნარებს, განათლებას) ითვალისწინებენ დამსაქმებლები ახალგაზრდა უურნალისტების დასაქმებისას, ან სტაჟირებისას; რა რეკომენდაციებს სთავაზობენ მედიის განათლების სექტორს და სხვ. კვლევა აქტუალურია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის, ისე აკრედიტაციის სტანდარტებისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის კუთხით.

სავალე კვლევა (დამსაქმებელების გამოყითხვა) ჩატარდა 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში.

კვლევისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია კითხვარი (დია და დასურულ-ბოლოიანი კითხვებით). გამოიკითხა 25 მედიაორგანიზაციის წარმომადგენელი.

პასუხი გაეცა შემდეგ კვლევით კითხვებს:

- რა კრიტერიუმების მიხედვით ასაქმებენ ახალგაზრდა უურნალისტებს საქართველოში? რა კომპეტენციებს (ცოდნას და უნარებს) ანიჭებენ უპირატესობას დამსაქმებლები?

- არის თუ არა მნიშვნელოვანი ფაქტორი დასაქმებისას, თუ რომელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია უურნალისტი? აქვთ თუ არა მას უურნალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი ან სხვა დარგობრივი კომპეტენცია?

სოციალური და პროფესიული კავშირები ზრდის დასაქმების შესაძლებლობას. საქართველოში გამოკითხული მედიასაშუალებების მხოლოდ 40%-ში არის სტაჟირება ანაზღაურებადი. სტაჟიორის აყვანისას, პროფესიულ და/ან ახლობლის რეკომენდაცია 89%-ისთვის არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება დასაქმებას, მხოლოდ 59% მიიჩნევს რეკომენდაციის ფაქტორს საყურადღებოდ.

საქართველოში უურნალისტად დასაქმებისას ყველაზე მეტად მნიშვნელობას ანიჭებენ „წერის უნარს“. გამოკითხული დამსაქმებლების 88% მიიჩნევს, რომ ეს უნარი მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია. 76 % მიიჩნევს, რომ დედლაინზე მუშაობის უნარი არის მნიშვნელოვანი. იგივე პროცენტული რაოდენობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობის უნარს, 80 % მიიჩნევს, რომ ახალი ამბების/თემების მოძიების და დამუშავების უნარი არის მნიშვნელოვანი. დამსაქმებელთა 52 %-ისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული სფეროს სიღრმისეული ცოდნა.

კვლევამ არ გამოკვეთა რომელიმე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის უურნალისტად დასაქმების უპირატესობა. ამ კუთხით, უცხოური კალეგიებისგან განსხვავებით, მედიაბაზარზე ისეთი ელიტური უნივერსიტეტები, რომელთა დიპლომი ერთგვარ ბონუსს წარმოადგენს დასაქმებისას მკაფიოდ არ იკვეთება. დამსაქმებლების აზრით, კურსდამთავრებულები უნივერსიტეტებში ყველაზე მეტად იღებენ თეორიულ ცოდნას და ყველაზე ნაკლებად - დარგობრივ კომპეტენციებს. არადა, გამოკითხულთა 84% უურნალისტად დასაქმებისას, უპირატესობას ანიჭებს სხვა სფეროში მიღებულ დარგობრივ კომპეტენციებს. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა იხრება იმ აზრისკენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შემქნა.

ეურნალისტური განათლების სამომავლო დისკუსიებისთვის  
დამსაქმებლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რიგი საკითხები, რომლებიც  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების  
აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან პირდაპირ  
შესაბამისობაში მოდის. კვლევის შედეგად შემუშავდა  
რეკომენდაციები.

## **რ. ჯეფერსონ ჯორჯი**

უფროსი დექტორი,

ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტი, აშშ

### **ონლაინ სამაგისტრო პროგრამის განვითარება საგანმანათლებლო დიდერობაში**

2012 წელს, საგანმანათლებლო დიდერობის სამაგისტრო პროგრამა მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის კლების, დაფინანსებისა და პერსონალის შემცირების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტმა მხარდაჭერა გამოუცხადა სწავლების ახალ დაჩარებულ ონლაინ პროგრამას, რომელიც ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას იძლეოდა. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ახალი პროგრამის დამკვიდრებას დახმარება გაუწია საკრედიტო თანხით, ტექნოლოგიური მხარდაჭერითა და მარკეტინგით. პროგრამა ამოქმედდა 2013 წლის ზაფხულში 16 სტუდენტის მონაცილებით, რომლებიც იმთავითვე საწყის თრ კურსზე იყვნენ დარეგისტრირებულნი. შემოდგომის სემესტრში კი, ონლაინ კურსის გავლის მსურველთა რაოდენობა 54 სტუდენტამდე გაიზარდა. ონლაინ პროგრამაზე ჩარიცხულთა რაოდენობის ზრდის გამო, გამუდმებით ხდებოდა სასწავლო კურსების განახლება და მოდელირება. ხარისხის მისაღებად შეთავაზებულ იქნა 12 საგალდებულო ონლაინ კურსი. პრეზენტაციაში წარმოდგენილია ონლაინ პროგრამის განვითარების პროცესი და განხილულია აუცილებელი ელემენტები, რომლებიც ონლაინ პროგრამის წარმატებას განაპირობებს. პროგრამა მე-4 წელია წარმატებულად მუშაობს, ჰყავს 450-ზე მეტი სერტიფიცირებული კურსდამთავრებული და 350-დან 400-მდე აქტიური სტუდენტი. განსაკუთრებული კურსდება ეთმობა იმას, თუ რამ განაპირობა პროგრამის წარმატება და მდგრადიბა, პროგრამის საჭიროებებიდან

გამომდინარე დამხმარე კადრების გამოყენება და კურსის შინაარსის მუდმივი გადახედვა შემდგომი განახლების მიზნით.

### **სამირა კარაუება**

აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოსოციოლოგიური კვლეულების განვითარების მეცნიერ-თანამშრომელი

### **გენდერული საკითხის პრობლემები აზერბაიჯანში**

პირველად მუსლიმურ აღმოსავლეთში, 1918 წელს, აზერბაიჯანში, ქალებს მიენიჭათ ხმის მიცემის უფლება. პირველი საერო სკოლა მუსლიმი გოგონებისათვის გაიხსნა ბაქოში, პირველი ოპერა და ბალეტი აღმოსავლეთში პირველად ასევე დაიდგა აზერბაიჯანში.

2014 წელს გენდერული თანასწორობის დონის მიხედვით აზერბაიჯანმა დაიკავა 94-ე დაგილი 142-დან Global Gender Gap Index რეიტინგში - დღეს ჩვენ უკვე წავიწიეთ კიდევ რამდენიმე საფეხურით. ეს ნიშნავს, რომ ბოლო წლებში აზერბაიჯანელი ქალების მდგომარეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროებში, მამაკაცებთან შედარებით, გაუმჯობესებულია. ამასთან, აზერბაიჯანში არც თუ ისე ცოტაა ქალთა უფლებების დარღვევის ფაქტები. ქალის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს ოჯახში მოვალეობების ტრადიციული გადანაწილების პრიზმით. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანში ქალი ძირითადად რეალიზდება როგორც მეუღლე და დედა. ქალთა საზოგადოების „რაციონალური განვითარებისათვის“ თავმჯდომარის შაპლა ისმაილოვას თქმით, არსებობენ ქალები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სწორედ გენდერული ნიშნით, საქმარისი ცოდნისა და უნარების მიუხედავად. „ქალს, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები, აქვს დამატებითი ვალდებულებები – ქალი უფრო და უფრო ასოცირდება ოჯახთან, ვიწრო საზოგადოებრივ წრესთან,

საზოგადოებაში მას არ აღიარებენ როგორც ლიდერს. ამასთან, არსებობს შინაგანი ბარიერებიც. ქალებს არ უგავიათ წამყვანი თანამდებობები კომპანიებსა და მმართველობით ორგანოებში, ოქენე თუ ნახავთ ერთ ქალს, ისიც უკეთეს შემთხვევაში. ქალის ბუნება, დედობა ასევე უშლის ხელს მუშაობას. მას არ შეუძლია დატოვოს ბავშვი და გავიდეს სამსახურში, თუ არ იქნება ოჯახის მხარდაჭერა“.

საერთაშორის საფინანსო კორპორაციის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულ ქალთა რიცხვიდან მხოლოდ 12% იღებს ბიზნეს-განათლებას, 33% მამაკაცთან შედარებით. 2013 წლის გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშის მონაცემებით, აზერბაიჯანში დასაქმებულია ქალების 67% და მამაკაცების 77%. ეს გადახდა „აისხნება“ გავრცელებული აზრით იმის შესახებ, რომ ქალები, როგორც წესი, ვიდაცის კმაყოფაზე არიან. სტატისტიკის მიხედვით, ქალები იშვიათად არიან დასაქმებულები წამყვან თანამდებობებზე, კერძოდ კი, 22% სახელმწიფო სექტორში და მხოლოდ 5% - კერძო სექტორში.

კ. წ. საკანონმდებლო მზრუნველობა ქალზე, აძლიერებს აზერბაიჯანული საზოგადოების პატრიარქალურ მოდელს. ქალის მონაწილეობა ნავთობისა და გაზის სექტორში შეზღუდულია - მხოლოდ 10%.

ქალები ჰარბობენ ისეთ სექტორებში, როგორიც არის ჯანდაცვა და სოციალური დაცვა (76.5%), განათლება (67.7), კერძო სექტორში, უძრავი ქონების (51%), კავშირგაბმულობის (33.3%), პერსონალთან მუშაობისა და მომსახურების გაწევის დარგებში. მაგრამ შრომის ანაზღაურება ამ სექტორებში ძალზე დაბალია ცხოვრების ნორმალური დონის უზრუნველყოფისათვის. რეპრეზენტატული კვლევის მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესში ქალების რიცხვი შეადგენს 8%-დან 14% -მდე. ქალები იწყებენ ბიზნესს, ძირითადად, სურსათისა და სოფლის მუშაობის დარგში, ასევე ხსნიან ტექსტილის მაღაზიებსა და ესტემიკური მედიცინის ცენტრებს, იმ დროს, როცა მამაკაცები, ძირითად, მუშაობენ მშენებლობისა და მომსახურების სფეროებში. აზერბაიჯანი, როგორც სხვა ქვეყნები,

დღეს დგას დემოგრაფიული პრობლემის წინაშე - ბოლო 20 წლის განმავლობაში მამაკაცთა რიცხვმა უკცრად იმატა, მოსახლეობაში გენდერული თანაფარდობა გათანაბრდა. დედები არც თუ ისე იშვიათად გადასცემენ გენდერული დისკრიმინაციის ჩვევას ახალგაზრდა თაობას. „ქალთა და მამაკაცთა რიცხვის თანაფარდობის ცვლილებამ შეიძლება მიგვიყვანოს სქესთა დისბალანსამდე. ამიტომ საჭიროა სელექციური აბორტების თავიდან აცილების ზომების გაძლიერება და ასევე ჯანდაცვის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად გავაძლიეროთ კონტროლი ამ პრობლემაზე“ (ოჯახის, ქალთა და ბავშვთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. გუსეინოვა).

ნიაზი მეპტი (ხელოვნების უნივერსიტეტი) – „სიდარიბის დონე აზერბაიჯანში იმდენად მაღალია, რომ, ვფიქრობ, სტერეოტიპების მიუხედავად, მამაკაცს უნდა, რომ მისმა მეუღლემ იმუშაოს და შემოიტანოს ფული ოჯახში. ვფიქრობ, რომ ეკონომიკური სიტუაცია ასუსტებს სტერეოტიპების ძალას“.

2006 წლიდან აზერბაიჯანში მოქმედებს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და 2010 წლიდან - კანონი „საყოფაცხოვრებო ძალადობის თავიდან აცილების შესახებ“. მაგრამ გენდერული თანასწორობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია გადაფასება დამკვიდრებული ქცევის ნორმებისა და სოციალურ-საზოგადოებრივი დატვირთვის, რომელსაც ქალები ატარებენ.

## **გიორგი გვინიგაძე**

ასისტენტი პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნების გეოეკონომიკური  
პრობლემები პროფესორ ალექსანდრე რონდელის შრომებში**

„დღევანდელ მსოფლიოში სამხედრო ძალის გამოყენება აღარ განიხილება  
როგორც ყველაფრის წამალი“

**ალექსანდრე რონდელი**

გეოეკონომიკა შედარებით ახალი დარგია სოციალურ  
მეცნიერებებში და სულ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის.  
საქართველოში გეოეკონომიკური შეფერილობის კვლევების გამოჩენა  
„ციფრული მეცნიერების“ შემდგომ პერიოდს (უფრო კონკრეტულად კი 1990-ანი  
წლების მეორე ნახევარი) უკავშირდება. ამ მხრივ, ქართველმა  
მეცნიერებმა, განსაკუთრებით კი საქართველოს სტრატეგიისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა და მოქმედმა თანამშრომლებმა  
შესანიშნავი ბაზა შექმნეს საქართველოში გეოეკონომიკური  
კვლევების შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა, საქართველოში  
გეოეკონომიკა ჯერჯეობით ძალზედ ნება, მაგრამ მაინც მკვიდრდება.  
სწორედ ამიტომ, რელევანტურია გეოეკონომიკური შეფერილობის იმ  
სამეცნიერო პუბლიკაციების შესწავლა და ანალიზი, რომლებმაც  
საფუძველი ჩაუყარეს გეოეკონომიკური კვლევებს საქართველოში. ამ  
მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მეცნიერის  
პროფ. ალექსანდრე რონდელის მეცნიერული მემკვიდრეობა. მის  
ნაშრომებში გეოეკონომიკურ კონტექსტს აშკარად გამოკვეთილი  
ხასიათი აქვს და ხშირად გეოეკონომიკის განვითარების პერსპექტიულ  
ხედვასაც აფიქსირებს (ეს მომენტი კარგად ჩანს, როცა საქმე ეხება  
სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის არჩევის საკითხებს  
გარდამავალი ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნებში).

ა.რონდელი შესანიშნავად ახერხებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მორგებას (განსაკუთრებით კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების) თანამედროვე გეოეკონომიკურ პარადიგმასთან რაც, აღნიშნული ტიპის ქვეყნებისათვის, გეოეკონომიკური სტრატეგიის აგების უნიკალური სახელმძღვანელოა. პროფესორის შრომებში თანამედროვე გეოეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ინსტრუმენტების (როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი) მთელი არსენალია წარმოდგენილი, რომელთა მსოლოდ ნაწილის მოკრძალებული ანალიზია მოცემული წინამდებარე ნაშრომში. სტატიის დასკვნით ნაწილში, ა.რონდელის ნაშრომების საფუძველზე, აგებულია პატარა ქვეყნებში გეოეკონომიკის განვითარების პერსპექტივების ზოგადი კონსტრუქცია და დეტურმინირებულია გეოეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი ვექტორები.

## **მალხაზ მაცაბერიძე**

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921) აქტუალური იყო ახალი სახელმწიფოს საზღვრების საკითხი, რომელთა მიმართაც მეზობელი ქვეყნები სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდნენ.

ივანე ჯავახიშვილმა, რომელსაც იმდროინდელი ხელისუფლება ხშირად მიმართავდა როგორც ექსპერტს საზღვრების საკითხის გადაწყვეტისას, განსაზღვრა ის ამოსავალი პრინციპები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ საქართველოს საზღვრების დადგენისას:

- საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრები აქვს, რომლის ფარგლებშიც ქვეყანა არსებობდა და ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში;

- ისტორიული საზღვრები ემთხვევა ბუნებრივ ზღუდებს და ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ მის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია სტაბილური განვითარება და თავდაცვა;

- ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფციიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება კ.წ. “ეთნოგრაფიული” საზღვრების პრინციპი;

- საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს; არა აქვს მნიშვნელობა რომელიმე მხარის მოსახლეობის დღევანდელ ეთნიკურ შემადგენლობას, თუკი ის ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით;

- მეზობლებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საზღვრების საკითხში შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წასელა და სასაზღვრო ხაზის შესწორება, ოდონდ ისე, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ დაზარალდეს.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების შესახებ ჩამოყალიბებულია მის ნაშრომში “საქართველოს საზღვრები” (1919 წ.), ასევე წარმოდგენილია იმ საარქივო და საგაზეო მასალებში, რაც უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის პრაქტიკულ საქმიანობას საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით.

1918 წლის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა დიდი უურადღება დაუთმო და დასაბუთა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საქართველო-სომხეთის საზღვრის ისტორიულ-სტრატეგიული ხაზი. ივანე ჯავახიშვილი ასევე აქტიურად ჩაერთო 1919 წლის ზაფხულში შექმნილ სამთავრობო უწყებათმორისი კომისიის მუშაობაში და ჩამოაყალიბა თვალსაზრისი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ცენტრალური მონაკვეთის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია გაიზიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველმა პარტიამ – სოციალ-დემოკრატიამ, მიუხედავად იმისა, რომ “ეთნოგრაფიული საზღვრების” იდეა ადრე პოპულარული იყო მემარცხენე პოლიტიკურ ძალებს შორის. ადსანიშნავია, რომ 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია კვლავ “ეთნოგრაფიული საზღვრების” ლოზუნებით გამოდიოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საქართველომ მეტნაკლებად მოახერხა ქვეყნის ისტორიულ-სტრატეგიული სასაზღვრო ხაზის აღდგენა, რასაც მძიმე დარტყმა მიადგა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში. ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა პერიოდშიც ცდილობდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასაზღვრო ხაზის შენარჩუნებას, რაზეც მეტყველებს მისი მიმართვა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თუმცა უშედეგოდ.

ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებული საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, დღევანდებული ვითარების გაანალიზების თვალსაზრისითაც.

## **გალერიან დოკუმენტები**

ასისტენტ-პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **დემოკრატიის მესამე ტალღა და პოსტკომუნისტური დემოკრატიზაცია: საქართველოს შემთხვევა**

გარეგნული მსგავსების მიუხედავად, პოსტკომუნისტური სივრცის დემოკრატიზაცია არსებითად განსხვავდება დემოკრატიზაციის მესამე ტალღისაგან. აქ მიმდინარე დემოკრატიზაციის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს არა დემოკრატიის, არამედ ახალი ტიპის საზოგადოების შექმნა. ამიტომ მისი მნიშვნელობა, მესამე ტალღისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური სისტემის შეცვლით და მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს. გარდა ამისა, ევროპის, ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიზაციებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ძლიერია პოსტკომუნისტური დემოკრატიზაციების საერთაშორისო მნიშვნელობა. მათ დრომა და ფუნდამენტური გაფლენა მოახდინეს მსოფლიო პოლიტიკაზე: შეცვალეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. პოსტკომუნისტური დემოკრატიზაციები სსრკ-ში დაწყებული დემოკრატიზაციის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელმაც დაშალა საბჭოთა სახელმწიფო, რამაც წონასწორობიდან გამოიყვანა საერთაშორისო სისტემა. პოსტკომუნისტური დემოკრატიზაციების თავისებურებების წარმოშობის უმთავრესი და განმასხვევრებელი ფაქტორია “რეალური სოციალიზმის” პოლიტიკური სისტემის სპეციფიკა, რომლის პროდუქტსაც წარმოადგენდა მთელი საზოგადოება და რომელიც გამსჭვალავდა და აკონტროლებდა მის ყველა სფეროს, ეკონომიკიდან დაწყებული და პულტურით დამთავრებული. ამიტომ პოსტკომუნისტური დემოკრატიზაცია ნიშნავდა არა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს არსებითი ხასიათის ტრანსფორმაციას, რამაც დემოკრატიზაცია აქცია იმ ფაქტორად,

რომელმაც წარმოშვა ღრმა ტოტალური ცვლილებები მთელ საზოგადოებაში. პოსტკომუნისტური დემოკრატიზაციების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაცია, რომლის თავისებურება წარმოშვა სსრკ-ს პოლიტიკური სისტემის უნიკალურმა ხასიათმა. მისმა დაშლაშ გამოიწვია ინტენსიური აღმავალი და დამავალი სოციალურ გადაადგილებები, რომლებმაც სოციეტალური ინტერესები დაუმორჩილეს ვიწრო პიროვნულსა და ჯგუფურ ინტერესებს, რამაც დაამუხრუჭა დემოკრატიზაციები პოსტსაბჭოთა ტრასფორმაციების უმრავლეს შემთხვევაში. სოციეტალური ცვლილებების გავლენა განსაკუთრებით მძიმედ აისახა საქართველოზე, სადაც სამოქალაქო ომი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემადგენელ ნაწილად იქცა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს დღის წესრიგი გადატვირთული აღმოჩნდა რამდენიმე სტატებიული მნიშვნელობის ამოცანით, რომლებიც დაუყონებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი ერთდროულად გადაწყვეტის რესურსები ქვეყანას არ გააჩნდა. ესენია: 1. ახალი სახელმწიფოს შექმნა; 2. პოლიტიკური რეჟიმის ფორმირება; 3. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 4. პოლიტიკური ერის ფორმირება; 5. ახალი საზოგადოების შექმნა. ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელ პირობას კი წარმოადგენდა სათანადო ეკონომიკური რესურსების არსებობა. საბჭოთა პოლიტიკურმა სისტემამ წარმოშვა სახალხო სამეურნეო კომპლექსი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მოკავშირე რესპუბლიკებს. ამიტომ საბჭოთა სისტემის დემოკრატიზაციამ, რომელმაც გამოიწვია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, გამოიწვია ამ სისტემის დაშლა, რამაც საქართველოში ერთბაშად გააუარესა ის ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც პანტინგტონის მიხედვით, აუცილებელია დემოკრატიზაციის დასაწყებად და მის დემოკრატიად გარდასაქმნელად. მესამე ტალღის დემოკრატიზაცია, ფაქტიურად სტაბილურ სოციეტალურ გარემოში მიმდინარეობდა. ის არ უკავშირდებოდა ეკონომიკური სისტემის ისეთ ღრმა ცვლილებებს, როგორიც არის საკუთრების ფორმების შეცვლა და ერთიანი ეკონომიკური სისტემის დეზინტეგრაცია. საქართველოში ასეთმა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ძირი გამოუთხარეს

ქვეყნის სახელმწიფო ებრიობას და დღის წესრიგში დააყენეს არა მხოლოდ ახალი სახელმწიფოს, არამედ ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნაც. მესამე ტალღისაგან განსხვავებით, საქართველოში დემოკრატიზაცია უფრო ინსტრუმენტულ ღირებულებას წამოადგენდა, როგორც დამოუკიდებლობის მიღწევის საშუალება და არა მიზანს, ამიტომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, მყარდება ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ქმნის შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომის შედეგად. ამან კიდევ უფრო გაართულა დემოკრატიზაციის პროცესის დაწყება საქართველოში. ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც დამყარდა გამსახურდიას დროს, ამ უკანასკნელის დამხობის შედეგად, გადავიდა ლიბერალიზაციის სტადიაზე, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. ლიბერალიზაციიდან დემოკრატიზაციაზე გადასვლა დაამჟღვუჭა “ვარდების რევოლუციამ”. საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესების განახლების დასაწყისად შეიძლება მიერჩიოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები.

## **ზეიად აბაშიძე**

ასისტენტ-პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **ხელისუფლების დანაწილება და მმართველობის ფორმები აღმოსავლეთ-ცენტრალურ ეკონომიკურ საქართველოში**

კომუნისტური ბანაკის, მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნისთვის პრობლემატური აღმოჩნდა ხელისუფლების დანაწილების ახალი მქანიზმების შემუშავება და მმართველობის ფორმების დანერგვა. მათ წინაშე ორი ამოცანა იყო: 1) შეექმნათ დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციონალიზმის იდეას დაფუძნებოდა და 2) შეექმნათ ხელისუფლება, რომელიც ერთი მხრივ აღმოფხვრიდა ავტორიტარიზმის საფრთხეებს, მაგრამ მეორე მხრივ ეფექტური და ქმედითი იქნებოდა. საამისოდ, აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომის ქავენების უმრავლესობა პიბრიდული მმართველობების შექმნის გზას დაადგნენ, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში უფრო საპარლამენტო-საპრეზიდენტო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საპრეზიდენტო-საპარლამენტო შეიძლება ეწოდოს.

საქართველო, კიდევ ერთხელ ადგას კონსტიტუციური რეფორმების გზას, რომლის საბოლოო პროცესტი ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა საპროექტო დებულებების მიხედვით, იგი უფრო წმინდა საპარლამენტო მმართველობისკენ იხრება, სადაც გათვალისწინებული არაა მთავრობის კოალიციურ რეფიშში ჩამოყალიბების პროცესი. წარმოდგენილი მოხსენების მიზანია, ნათელებოს აღმოსავლეთ-ეკონომიკურ ქვეყნების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოსთვის.

## **ირინა ბიჭიკაშვილი**

ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **კულტურის გამოყენება პოლიტიკაში: ისტორიული ანალოგიები**

ტერმინი „კულტურა“ მრავალასპექტიანი ცნებაა და დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან. ჩვენ გვაინტერესებს კულტურის მმართველობითი ზეგავლენა, რომელიც ხორციელდება მედიის მეშვეობით. მმართველობითი ზეგავლენის შესწავლისას აუცილებლად განიხილება მსოფლიმხედველობითი ასპექტიც, რომელიც დამახასიათებელია ყოველი ეთნიკური ჯგუფისათვის და აქ აუცილებელი გახდება ექსპურსი რომანტიზმის ეპოქაში (მე-18-19 სს).

დღეს ანთროპოლოგები კულტურას განიხილავენ არა მარტო როგორც ბიოლოგიური კვოლუციის პროდუქტს, არამედ როგორც მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ადამიანს გარესამყაროსთან ადაპტაციაში. ანთროპოლოგების აზრით, ცივილიზაციის არსებობის განმავლობაში ყოველმა საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა საკუთარი კულტურის გავრცელებაში, სხვა კულტურებთან ურთიერთშედნევასა და თავსმოხევევაში.

ტერმინები „კულტურამპფი“, „კულტუროგანიზმი“, „კულტურული იმპერიალიზმი“, „სოფტ ფაუერი“ - ერთიანი კონცეფციაა და ნიშანებს შემოტანილი იდეებისა და ფასეულობების ექსანსიას ამა თუ იმ საზოგადოებაში. ეს იდეები და ფასეულობანი შეიძლება არ იყოს საზიანო, მაგრამ ისინი თავსმოხევეულია და არ გაუვლიათ ისტორიული აპოდაციის გზა.

„სოფტ ფაუერის“ გამოყენების ისტორიული მაგალითი აქვს საქართველოსაც, სადაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გამოიცემოდა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ (გამოცემა შეწყდა 1991 წელს). 95 წლის წინ გამოცემული გაზეთი შეიცავს მრავალ დამადასტურებელ მაგალითს

„სოფტ ფაუერის“ დადებითი ზეგავლენის შესახებ, რასაც განვიხილავ ჩემს მოხსენებაში.

### **რევაზ ჯორბერაძე**

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მარჯებ დევიძე**

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **სოციალური აქსიომების სტრუქტურა და პიროვნების ქცევა**

ნაშრომში სოციალური აქსიომები განხილულია საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების, სულიერი და ფიზიკური სამყაროს, სოციალური გარემოს მიმართ განზოგადოებული რწმენების სახით. განხილულია სოციალური აქსიომების ძირითადი ფუნქციები, სოციალური აქსიომების მიმართება დამოკიდებულებებთან და ღირებულებებთან. რაც შეეხება სოციალური აქსიომების პიროვნების ქცევასთან კავშირს ის სხვადასხვა მოდელის მიხედვითაა განხილული. სოციალური აქსიომების გაზომვის საკითხი კროს-კულტურული კვლევების კუთხითაა გადმოცემული. სოციალური ქცევის რეგულაციაში სოციალურ აქსიომებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, სხვა პარამეტრებთან ერთად.

## **ნათელა დონაძე**

ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ოჯახი, როგორც დირექტულება: საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების შედარებითი ანალიზი**

XXI საუკუნე მაღალინსტიტუციონალიზებული საზოგადოებებით ხასიათდება. ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორიცაა ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა, განათლება, სამართლი, ეკონომიკა, მასმედია და სხვ., დიდ როლს თამაშობს ნებისმიერი საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში, ასევე, ცალკეული ინდივიდების ცხოვრებაში. ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ოჯახს, პირველად სოციალურ ჯგუფსა და სოციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად აგენტს.

ჩემი მიზანია, განვიხილო ოჯახი, როგორც დირექტულება, ვაჩვენო მისდამი განსხვავებული დამოკიდებულებები საქართველოსა და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ანალიზის საფუძვლად გამოვიყენე იმ ემპირიული რაოდენობრივი კვლევების შედეგები, რომლებიც ჩატარდა „ევროპული დირექტულებების ატლასში“ 2008 წელს და „მსოფლიო დირექტულებათა კვლევაში“ 2014 წელს. აღნიშნული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების შედარების საშუალებით, გავაანალიზე საქართველოსა და რამდენიმე დასავლური ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებები თუ ანისადმი, როგორც დირექტულებისადმი.

ყოველი საზოგადოების ადეკვატურად დახასიათება შესაძლებელია მისი კულტურის, კერძოდ კი, დირექტულებათა სისტემის შესწავლით. დირექტულება, გარკვეულწილად, არის ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა. იგი ობიექტურია, რადგან ეხება ადამიანებისაგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობას; ამავდროულად, იგი სუბიექტურია, რადგან მასში ასახულია სუბიექტის მიერ დანახული ობიექტური რეალობა.

პიროვნებებს ობიექტური რეალობისადმი აქვთ როგორც შემცნებითი, ისე შეფასებითი დამოკიდებულება. შეფასებით დამოკიდებულებას, ჩვეულებრივ, ახასიათებს სუბიექტივიზმი, რაც განპირობებულია ისეთი სხვადასხვა ფაქტორით, როგორიცაა საზოგადოების ტიპი, მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვ. მდგომარეობა, აგრეთვა, ინდივიდის სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი, წარმოშობა, განათლება, ეკონომიკურ მდგომარეობა, პოლიტიკური ორიენტაცია, ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება, ოჯახეური მდგომარეობა, ღირებულებები, ღირებულებითი ორიენტაცია, ღირებულებითი სისტემა და სხვა.

შედარება ნათლად გვიჩვენებს განსხვავებული პიროვნებების სხვადასხვა დამოკიდებულებას ოჯახისადმი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ღირებულებისადმი.

გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც, გარკვეულწილად, ხდება, სხვადასხვა კულტურის უნივერსალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, ღიდ საფთხეს უქმნის ქვეყნების ეროვნულ, ტრადიციულ ღირებულებებს, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ქრების კულტურებს.

ვ. ფურუამას აზრით, მოდერნიზაციის შედეგად ყველა ქვეყნა აუცილებლად მიიღებს დასავლურ ღირებულებებს და ეს იქნება „ისტორიის დასახრული“ ან მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის უდიდესი გამარჯვება.

საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ი.ა. ვასილენკო. მისი აზრით, დასავლეთელთა იმედი, რომ სხვა ხალხები მოდერნიზაციის გზით გახდებიან ისეთები, როგორებიც თავად არიან, ეს დასავლური აზროვნების ეგოცენტრული ილუზია. იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ გლობალიზაციას, შესაძლოა, მოჰყვეს უკურეაქცია. დასავლური ღირებულებების პროპაგანდას თითოეული კულტურა მიჰყავს მშობლიური კულტურის ღირებულებათა დაცვისკენ, დასავლური ღირებულებებისადმი წინააღმდეგობის გაწევისკენ.

„მსოფლიო ღირებულებათა კვლევისა“ და „ეპროპული ღირებულებების ატლასის“ მიერ ჩატარებულ კვლევში ნათლად ჩანს ეს უკუტენდებია. მიუხედავად დასავლეთისა და დასავლური ღირებულებებისაკენ (როგორიცაა ადამიანთა უფლებები, სიტყვის თავისუფლება, ტოლერანტობა, გამოხატვის თავისუფლება, სამოქალაქო უფლებები და სხვ.) ლტოლვისა, საქართველოს მოსახლეობა აფასებს და იცავს ეროვნულ ღირებულებებს, ტრადიციებს, ადათ-წესებსა და სხვა. აღსანიშნავია, რომ მას აქვს ოჯახისადმი, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებისადმი, ტრადიციული დამოკიდებულება.

## **მარინა ბურძენიძე**

ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **მარინე ქეგხიშვილი**

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სოციალური მედიის პრაქტიკა და ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები**

ნაშრომი წარმოადგენს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSOs) მიერ სოციალური მედიის გამოყენების პრაქტიკის კვლევას. თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური მედიის გამოყენებას მულტიფუნქციური ხასიათი აქვს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მას თავიანთ საქმიანობაში სხვადასხვა მიზნით მოიხმარენ (ინიციატივების, აქტივობების, საჯარო შეხვედრების დაანონსების, ინფორმაციის გავრცელების, დისკუსიებისა და განხილვების საზოგადოების მოზიდვისა და ჩართვის მიზნით და ა.შ.). ტერმინი სოციალური მედია არის ინსტრუმენტებისა და პლატფორმების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია კომუნიკაცია, დაკავშირება და კონტენტის გაზიარება (Kanter&Fine, 2008). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა. კვლევის მიზანია იმის დადგენა, ეფექტურად იყენებენ თუ არა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სოციალურ მედიის, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტს თავიანთ საქმიანობასა და საზოგადოების ინფორმირებაში. კვლევის ობიექტად შეირჩა 10 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა ორგანიზაციების განსხვავებული მისია და პროფილი. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციების სოციალური მედია აქტივობები; კერძოდ, ვებ-გვერდები, ფინანსურირებული მედია მედია ინფორმაციის გავრცელების სისტემა, ინტენსივობა, ორგანიზაციების წარმომადგენლების სატელევიზიო ჩართვები, ორგანიზაციების თპერატიულობა, კომენტარებისა და მოწონებების რაოდენობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში - მიმდინარე წლის 17-26 აპრილის პერიოდში. კვლევის შედეგად დადგინდა, რამდენად აქტიურად გამოიყენებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სოციალურ მედიას თავიანთ საქმიანობაში და საზოგადოების ინფორმირებისათვის. მათი შესწავლა ხელს უწყობს სოციალური მედიის პოტენციალის, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტის, შესახებ წვენი ცოდნისა და წარმოდგენის ზრდას.

## **ამირან ბერძენიშვილი**

პროფესორი, ივანე ჯაგახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **„ციფრული თაობის“ დამკვიდრებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში**

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების, პირველ  
რიგში კი ინტერნების სწრაფმა განვითარებამ საზოგადოებაში ახალი  
„ციფრული თაობის“ წარმოშობა განაპირობა, რომლის  
თავისებურებების შესწავლასაც განვითარებულ ინფორმაციულ  
საზოგადოებებში (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია და ა.შ.)  
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. როგორც მსოფლიოში, ისე  
საქართველოში „ციფრული თაობის“ შესახებ დაპირისპირებული  
განაზრებები არსებობს. უფროსი თაობის ადამიანები ტექნოფობიური  
მიდრეკილებებისა გამო „ციფრული თაობის“ მიმართ უარყოფით  
დამოკიდებულებებს გამოთქმამენ: ესაა „დაკარგული“,  
„გეოცენტრული“, და „არასოციალური“ თაობა. ზოგი კი განგაშის  
ზარებს რეკს: „აიფონის“ თაობა მოდის და დღეს სამშობლო,  
პატრიოტიზმი, მოქალაქეობრივი ვალდებულებები დაქნინებისა და  
გაუფასურებისაკენ მიდის“.

აკლევებით დასტურდება, რომ საქმე პირიქითაა, რომ  
„ციფრული“ თუ „ქსელური“ თუ „აიფონის“ თაობა ეთნიკურ, ეროვნულ  
თუ რელიგიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით უფრო ღიაა,  
პოლიტიკურად აქტიურია და ინტელექტუალი მადალი კოეფიციენტითაც  
კი გამოიჩინა. საქართველოში „ციფრული თაობის“ სახეს  
„ფეისბუქი“ აყალიბებს. არა ნაკლებ როლს მის ჩამოყალიბებაში ამ  
ტექნოლოგიების განათლების სფეროში დანერგვა თამაშობს.  
განსაკუთრებით სწავლების ახალი სტრატეგიები: მასწავლებელზე  
ორიენტირებული სალექციო პროცესიდან მოსწავლეზე/სტუდენტზე  
ორიენტირებული სასწავლო ურთიერთქმედების მიმდინარეობისას  
აქცენტის თანამშრომლობაზე გადატანა და ცოდნის შექმნის

პროცესზე გადასვლა; სწავლების პროცესებში თანდათანობით დამკიცრებადი ფრაგმენტულობა, მოზაიკურობა და ვიზუალიზაცია, რომლებიც უურადღების ხანგრძლივ დაძაბგაზე არ არიან ორიენტირებულინ.

ქართული „ციფრული თაობისათვისაც“ სოციალური ქსელები გარემომცველი ლანდშაფტის განუყრელი ნაწილი ხდება. ამ თაობის წარმომადგენლებისათვის ქსელური ტექნოლოგიური შემადგენლის არსებობა ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სახეობაში თანდათანობით ბუნებრივ და სასურველ რამედ აღიქმება. ეს, განსაკუთრებით, ახალ ცხოვრებისეულ სტრატეგიებს ეხება: პრაქტიკულად ქსელში მუდმივი ჩართულობა, მრავალმხრივობა და სწრაფი რეაგირება, გადაწყვეტილებების მიღებისას ინფორმაციის, ქმედებათა მზა რეცეპტების, ხდომილებათა შესახებ არსებული შეხედულებების, ახალი აზრებისა თუ მხარდაჭერის მისაღებად ქსელისადმი მუდმივი მიმართვა და სხვა. ასევე ადსანიშნავია, სოციალურ კომუნიკაციებში ტექსტივიზაციის როლის განუხრელი ზრდის ფაქტორიც. ესაა თაობა, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში Web 2.0 - ის ერთდროულად გაჩნდნენ, და ციფრული მოწყობილობები პირველ სათამაშოებთან ერთად აიღეს ხელში. ამ თაობისათვის ციფრული ენა მშობლიური ხდება და მათ “digitally native”-ს, ე.ი. ციფრული წიგნიერებით თანშობილ-დაბადებულ ადამიანებს უწოდებენ. ეს თაობა ჯერ ახალგაზრდა და არაერთგაროვანია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში თაობა, რომელიც 18-20 წლისაა „ციფრულ თაობას“ წარმოადგენს. თუმცა, ჩვენი ქვეყნის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე მას დასავლური, თუ აღმოსავლეთ ევროპული „ციფრული თაობებისაგან“ განსხვავებით საკუთარი თავისებურებები ახასიათებს.

## **ნანა მაჭარაძე**

დოქტორანტი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

**ციფრული მაუწყებლობის დანერგვის პრაქტიკა საქართველოში: მისი გავლენა სატელევიზიო ინფორმაციული რესურსის განვითარებაზე**

ციფრული ფორმატები უადრესად აქტუალურია სამაუწყებლო სფეროში. დღეს მსოფლიოში ციფრულ სამაუწყებლო ფორმატზე გადასვლის გლობალური პროცესი მიმდინარეობს, რომელშიც ლიდერი ქვეყნების შემდეგ განვითარებადი ქვეყნებიც ჩატარებული არიან. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შერთებულ შტატებში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და განვითარებულ ქვეყნებში ანალოგური ფორმატის მაუწყებლობა ციფრული მაუწყებლობით შეიცვალა. გასული საუკუნის ბოლო ოცნებულ ში ინოვაციური ტექნილოგიების განვითარებაში მსოფლიოს დაანახა, რომ სიხშირული რესურსის გამოყენების უფრო ეფექტური საშუალებების დანერგვა იყო შესაძლებელი. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის და ციფრული მაუწყებლობის ჩართვის შემდეგ შეინიშნება დადგებითი ცვლილებები აუდიოვიზუალური მედიის ბაზარზე: ინფორმაციის თავისუფალი ცირკულირება საზოგადოებაში, მობილური ინტერნეტის განვითარება და ახალი საკომუნიკაციო მომსახურებები. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დადგებითად მოქმედებს ტელევიზიის შესაძლებლობაზე განახორციელოს საჯარო ფუნქციები და უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ადამიანთა უფლებების დაცვა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ქმნის წინაპირობებს სატელევიზიო პროგრამების მრავალფეროვნებისთვის, აუდიოვიზუალური მედიისა და საინფორმაციო ტექნილოგიების მომსახურების მომწოდებლებისთვის.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ დიდია ციფრული მაუწყებლობის ტექნილოგიის მნიშვნელობა ბოლო მომხმარებელებისათვის, განსაკუთრებით ე.წ. უნივერსალური სამაუწყებლო მომსახურების

მიწოდების მიმართულებით. აღსანიშნავია ის, რომ ანალოგიურ საეთერო მაუწყებლობაზე დამოკიდებული იყო რეგიონების მოსახლეობის უმეტესობა, სადაც ალტერნატივად კარგად განვითარებული სატელიტური მაუწყებლობა მოიაზრება. ქალაქებში ინტერნეტ ტელევიზია (IPTV) და საკაბელო ქსელი უკეთესად არის განვითარებული და ციფრულ მაუწყებლობაზე დამოკიდებული მოქალაქეების რაოდენობა შედარებით მცირეა, თუმცა თუ განვითარება კარგი ხარისხის მომსახურების ალტერნატივა მოქალაქეები ოჯახებში მეორე და მესამე ტელევიზორით უფასოდ ტრანსლირებად ციფრული მაუწყებლობის მომსახურებას მიიღებენ.

სწორედ მსგავსი გამოწვევისა და მოსალოდნებლი ცელილებების წინაშე დადგა ქვეყანა 2015 წლის ივლისიდან, როდესაც დაინერგა საქართველოში ციფრული მაუწყებლობა და მის შედეგადაც მოსალოდნებლი გახდა ქვეყანაში ჯერ კიდევ მოხმარების რაოდენობის მაჩვენებლით პირველი საინფორმაციო საშუალების - ტელევიზიის ცვილილება, კერძოდ, არხების რაოდენობის გაზრდა, მათი დაფარვის არეალი და ამასთან ერთად მედია-კონტენტის ცვლილება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით.

საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი დასრულებულია. საერთაშორისო ვალდებულების თანახმად 2015 წლის ივლისიდან საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ციფრული და ანალოგიური მაუწყებლობა ერთდროულად ფუნქციონირებდა, ხოლო შემდეგ, ანალოგიური მაუწყებლობა გამოირთო და საქართველო მთლიანად ციფრული მაუწყებლობის ფორმატზე გადავიდა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ გარკვეულწილად სოციალური ცელილებების სტიმულირებასაც ახდენს. სატელევიზიო არხების რაოდენობის სწრაფი ზრდა, რაც ციფრული მაუწყებლობის ერთ-ერთი თანმდევი ცელილებაა, აუდიტორიის სეგმენტაციას იწვევს. ამ ყველაფრის შედეგად კი ცელილებებია მოსალოდნებლი აუდიტორიის მიერ მედია-კონტენტის აღქმის თვალსაზრისით. მეტი და

განსხვავებული ინფორმაციული, სიმბოლური კონტენტის არსებობა აუდიტორიის შიგნით ცვლილებებსაც გამოიწვევს, როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ კონტექსტში.

## თენგიზ გერულაგა

პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### უნივერსალური ჯანდაცვა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები

უნივერსალური ჯანდაცვის განვითარება მრავალ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ მიღვომას იყენებს არსებული პრობლემების აღმოსაფეხრებად.

განვითარებულ ქვეყნებში უნივერსალურ მოცვაზე გადასვლის შემდეგი ტენდენციები შეიძლება გამოიყოს:

- დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის საყოველთაო მოცვის პროცესი თითქმის მთელი XX საუკუნე გაგრძელდა;
- მოცვის გაფართოების მცდელობები ეყრდნობოდა რისკების გაერთიანების (სოლიდარობის) მექანიზმებს;
- ისტორიულად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდა დარიბი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დაფინანსების, ხოლო დამსაქმებლებს უბედური შემთხვევების და დაავადებების დაზღვევის უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყო რისკების გაერთიანების ეფექტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას;
- საყოველთაო მოცვის სისტემაზე გადასვლამ მოითხოვა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევები. ერთადერთ ქვეყანას, სადაც ვერ განხორციელდა მოსახლეობის უნივერსალური მოცვა, წარმოადგენდა აშშ;
- უნივერსალური ჯანდაცვის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს პოლიტიკურმა ფაქტორებმა. გერმანიაში სოციალური დაზღვევა შემოღებულ იქნა სოციალისტური მოძრაობების ოპოზიციური მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად. იტალიაში ომებს შორის სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღება დაკავშირებული იყო კლასებს შორის ერთობის განმტკიცებასთან. ბრიტანეთში ბევერიჯის რეფორმა დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოწვეული სოლიდარობის გრძნობასთან.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მოცვა სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებით ძალიან დაბალია. ამ ქვეყნებში უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს არასახარბიელო ეკონომიკური მდგრამარეობა, საწარმოების დაბალი გადახდისუნარიანობა, გადამხდელთა მონაცემების ერთიანი ბაზის არარსებობა. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების სიმწირის გამო ფართოდაა გაგრცელებული ჯიბიდან არაფორმალური გადახდები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გაგრცელდა უნივერსალური ჯანდაცვის სხვადასხვა სისტემა (სოციალური დაზღვევა, საყოველთაო ჯანდაცვა). გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნებში არსებობდა ჯანდაცვის სემაშეოს მოდელი, რომელიც თეორიულად თავად წარმოადგენდა უნივერსალურ მოცვას. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით ყველა თანასწორად გარანტირებული იყო ჯანდაცვის სერვისებით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. ფართოდ იყო გაგრცელებული ჯიბიდან არაფორმალური გადახდები.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში გამოყოფენ ოთხ პერიოდს: ინერციის პერიოდი - 1991-1995 წლები, რეფორმების პირველი პერიოდი - 1995-2003, რეფორმების მეორე პერიოდი - 2004-2012 წლები და რეფორმების მესამე პერიოდი - 2013 წლიდან დღემდე.

თავდაპირველად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება ხორციელდებოდა სოციალური დაზღვევის მოდელით (ბისმარქის მოდელი). თუმცა, 2007 წლიდან იგი გადავიდა გადასახადებზე დაფუძნებული მოდელზე (ტევერიჯის მოდელი). ახალ მოდელზე გადასვლა დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადებზე დაფუძნებულ სისტემას გააჩნია მეტი უპირატესობა ვიდრე სოციალური დაზღვევის მოდელს. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც უფრო მეტადაა

განვითარებული არაფორმალური სექტორი, გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელს აქვს შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით მოიცვას იგი. თუმცა, გადასახადებზე დაფუძნებული სისტემა ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. გარდა ამისა, შეინიშნება არათანასწორი დაფინანსება, რადგან შესაძლოა განაპირობოს ისეთი პირების სუბსიდირება, რომლებიც თვითდასაქმებულია, მაგრამ არ არის დარიბი ფენა.

2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა.

2014 წ. აპრილის მონაცემებით, საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა თუ სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა 2017 წელს 2012 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 365 მლნ ლარიდან 800 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ცხადია, დაუზღვეველი მოსახლეობის ჩართვა სახელმწიფო პროგრამაში დადგებითად იმოქმედებს საჭირო სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე და შესაბამისად, ქმაყოფილებაზე.

უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა დამოკიდებულია გარკვეულ სირთულეებთან, მითუმებებს ისეთი მწირი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს აქვს საშუალება ისარგებლოს, საკმაოდ კარგი ნაბიჯია, თუმცა საჭიროა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება დაფინანსების ხარჯთვებებზე მეთოდების, სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით.

სარჯების შეკავების მეთოდებიდან ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, რადგან ასეთ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უქცევა პრევენციული სერვისების მიწოდებას. შეიძლება ითქვას, ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ყველაზე საუკეთესო მეთოდი არის ის, რომლითაც მიიღწევა ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესება არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების მეშვეობით.